პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

1990 6 მარტი სამშაბათი

№28 (6255)

ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ჯემალ დავითის ძე საღინაძე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **ჯემალ დავითის ძე საღინაძე** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

ჯემალ დავითის ძე საღინაძე დაიბადა 1940 წელს ქალაქ ცაგერში. 1958 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1964 წელს. იმავე წელს გაწვიეს სამხედრო - სავალდებულო სამსახურში, სადაც 1965 წელს მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად.

დემობილიზაციის შემდეგ 1965-1977 წლებში მუშაობდა ლენტეხისა და ცაგერის რაიონების საშუალო სკოლებში (ჩოლური, ოყურეში, ლაჯანა, ჩხუტელი, ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი) ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.

1977 წლიდან დღემდე მუშაობს ცაგერის №91 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სასწავლო ნაწილის გამგედ.

სკკპ წევრია 1966 წლიდან.

ცოლშვილიანია. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი.

ცხოვრობს ქალაქ ცაგერში, ლენინის ქ. №10.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ცაგერის №91 საშუალო პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის შრომითი კოლექტივის კრებამ.

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები:

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უპირველეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი საქართველოსათვის წინამძღვრების შექმნა: ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, პოლიტიკური სტრუქტურის ცვლილება, ეროვნული არმიის შექმნა და ახალი საერთაშორისო კავშირურთიერთობების დამყარება.

უახლოეს პერიოდში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მუშაობა შემდეგნაირად მესახება:

მოითხოვოს რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენა.

აღადგინოს საქართველოს ეროვნულ -ტერიტორიული მთლიანობა.

მიიღოს კანონი საქართველოდან იმ პირთა გაძევების შესახებ, რომლებიც აღვივებენ ეროვნებათა შორის შუღლს.

არ დაუშვას მესხეთიდან გასახლებული თურქების დაბრუნება საქართველოში.

განიხილოს საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების, საწარმოების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი.

დააწესოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო ხელფასი და გაათავისუფლოს ისინი ძირითადი სამუშაო ადგილიდან.

ამოიღოს საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან მეექვსე მუხლი და შემოიღოს მუხლი, რომელიც დაუშვებს მრავალპარტიულობას.

შემოიღოს ქალებისათვის 6-საათიანი სამუშაო დღე.

მთიან რაიონებში მცხოვრები გლეხები გამოაცხადოს თავისუფალ გლეხებად და მისცეს მათ სპენსიო და სხვა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები.

გადასინჯოს კანონები და საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ზღუდავენ პიროვნების თავისუფლებას, ქმნიან ხელოვნურ დაბრკოლებებს ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გზაზე.

მოახდინოს სახელმწიფო და სახალხო კონტროლის ინსტიტუტების რეორგანიზაცია.

დაადგინოს რა ეროვნული სიმდიდრე გავიდა საქართველოდან საბჭოთა ხელისუფლების წლებში და სანაცვლოდ რა შემოვიდა, ვართ თუ არა ვინმეს სარჩენი.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების საკითხებს.

მოაწესრიგოს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთკავშირი.

შექმნას საპრეზიდენტო ინსტიტუტი, პრეზიდენტის არჩევა მოაწყოს მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დღის წესრიგშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის განხილვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტში ჩამოყალიბებული პრობლემების განხილვა. მიღებულ გადაწყვეტილებაში ძირითადად მოიწონეს დებულებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს პლატფორმის პროექტი, ისინი მიჩნეულია დასაყრდენ პუნქტებად საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს შემდგომი დემოკრატიული განახლების, პარტიის რეფორმირების, გარდამავალ პერიოდში მისი საფუძვლიანი გარდაქმნის გზების ძიებაში.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, საქართველოს კომპარტიის რაიკომებს, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ გაშალონ ამ საფუძველზე საყრილობო დისკუსია, რომლის დროს მკვეთრად უნდა განსაზღვრონ თავიანთი პოზიციები პლატფორმის პროექტში ჩამოყალიბებულ პრობლემებზე, ამასთან მიაღწიონ იმას, რომ თავად დისკუსია გახდეს პარტიული მუშაობის განახლების, კომუნისტების გააქტიურების, საზოგადოების, კონსოლიდაციის, გარდამქმნელი აზროვნებისა და მორალის განვითარების სტიმული. მიზანშეწონილად არის მიჩნეული 1990 წლის მარტსა და აპრილში პროექტის განხილვასთან დაკავშირებით გაიმართოს საქართველოს კომპარტიის რაიკომების, საქალაქო და საოლქო კომიტეტების პლენუმები, ხოლო საბოლოო შედეგები შეჯამდეს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე 1990 წლის აპრილში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მიაღწიოს იმას, რომ პლატფორმის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალებისა და მოძრაობების წარმომადგენლებმა, ყურადღებით გაითვალისწინოს მათი შენიშვნები და წინადადებანი, მათ შორის ალტერნატიული პროექტები, უზრუნველყოს პარტიული კომიტეტების პლენუმზე, პარტიულ და მუშათა კრებებზე, მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებში შეხვედრებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი სხვა ღონისძიებების დროს აზრთა თავისუფალი გაზიარების, ნამდვილი

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დავაჩქაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

კარს მოგვადგა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შრომითი გაზაფხული. როგორ გამოვიყენეთ ზამთრის ხელსაყრელი დღეები და მოვემზადეთ თუ არა გაზაფხულისათვის? მით უფრო, რომ წლევანდელი ზამთრის დღეები გონიერ მეურნეს ყოველგვარ საშუალებას აძლევდა საამისოდ?

ორგანული სასუქი რომ მიწის ნაყოფიერების ამაღლების გასაღებია, ეს ჭეშმარიტება ყველას კარგად ესმის, მთავარია როგორ ვიყენებთ მას უხვი მოსავლის მისაღებად, მით უფრო ახლა, როცა მინერალური სასუქების ყოველგვარი კარტოგრამების დაცვის გარეშე გამოყენებით გამოფიტულ ჩვენს მიწებს დროზე თუ არ მივეშველეთ, სრულ მოუსავლიანად გვექცევა.

ახლა, როცა თოვლის საფარი ბევრგან სრულიად გაქრა და ხელს არ უშლის სასუქების ბაღებსა და ვენახებში შეტანას, მხოლოდ ტვიშის და რაიონის თითოოროლა საზოგადოებრივ მეურნეობაშია ორგანული სასუქის ზვრებში შეტანა დაწყებული.

შემაშფოთებელია საერთო მდგომარეობა. აქამდე საგაზაფხულო სამუშაოებს ერთი თვით ადრე, ზოგჯერ კი შემოდგომაზე, მოსავლის აღებისთანავე ვიწყებდით, ახლა კი სატელევიზიო გადაცემა „მოამბის“ ერთ-ერთ გამოშვებაში კომენტატორის თქმისა არ იყოს, გამოდის, რომ საგაზაფხულო სამუშაოებს ზაფხულის პაპანაქება სიცხეში ვიწყებთ.

დრო არ ითმენს, კარსმომდგარ გაზაფხულს მომზადებული შეხვედრა უნდა. პირველ რიგში მიწის, ნაყოფიერების ამაღლებისათვის უნდა ვიზრუნოთ, ორგანული სასუქი, რომელიც საძებარი არ არის, მეცხოველეობის ფერმებთან გორებად დგას და სიბინძურისა და ეპიდემიის გავრცელების საშიშროებასაც კი ქმნის, მისი მინდვრად გატანა და მოსავლის სამსახურში ჩაყენება დიდ სიძნელეს სრულებითაც არ წარმოადგენს.

ნუ დაველოდებით ზემოდან მითითებებსა და რეცეპტებს, ჩვენს გასაკეთებელს სხვა არავინ გააკეთებს და საჭიროა საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა აქტიური პოზიცია დაიჭირონ, სასწრაფო დასკვნები გააკეთონ საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად.

ვაზის საყრდენი მასალის დამზადების საუკეთესო დღეებია. მალე სხვლაც უნდა დავიწყოთ. ახლა გვჭირდება შემართება, გულმოდგინე მუშაობა, რომ საფუძველი ჩავუყაროთ წლის მოსავალს, ნაშრომი და ბარაქა კი ჩვენვე გაგვახარებს შემოდგომაზე, ჩვენს კეთილდღეობასა და უკეთეს ხვალეს მოხმარდება.

დღის წესრიგშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის განხილვა

(დასასრული).

პარტიული ამხანაგობის, ყველა აღძრულ პრობლემაზე კონსტრუქციული კრიტიკის ცოცხალი, არაფორმალური ვითარება, ამასთან მჭიდროდ დაუკავშიროს ისინი საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციაში დასახულ ამოცანებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებებს, იმ მოთხოვნებს, რომ გაფართოვდეს და გაღრმავდეს პოლიტიკური დიალოგი საზოგადოებრიობის ყველა ფენასთან, მოქალაქეთა თვითმოქმედ გაერთიანებებთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიულ და საკადრო მუშაობის განყოფილებას იმის გათვალისწინებით, რომ სკკპ ყრილობის მიერ დამტკიცების შემდეგ პარტიის ახალი პორგრამის შემუშავებამდე, პლატფორმა იქნება კომუნისტების მუშაობის პრინციპული საფუძველი, გარდამავალი პერიოდის პირობებში პოლიტიკურ ორიენტირთა სისტემა, დაევალა უზრუნველყოს ყველა პარტიულ ორგანიზაციაში პროექტის განხილვის მაღალი ორგანიზაციული და პოლიტიკური დონე, საყრილობო დისკუსიის მოწყობის მისი შედეგების განზოგადების ფორმებისა და მეთოდების შემოქმედებითი მრავალფეროვნება; გაუწიოს ადგილობრივ პირველადს პარტორგანიზაციებსა და პარტიულ კომიტეტებს რეალური პრაქტიკული დახმარება განხილვის ორგანიზაციაში, ფორმალიზმისა და ზედმეტი ორგანიზებულობის, უმცირესობის აზრის უგულებელყოფის პრაქტიკის, აგრეთვე იმ ცდების დაძლევაში, რომ მოახდინონ ძალისმიერი, არადემოკრატიული ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებას, ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს დაევალათ გაგზავნონ რაიონებში ლექტორთა, მეცნიერთა, სპეციალისტთა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელ მუშაკთა საინფორმაციო-პროპაგანდისტული ჯგუფები, რათა განმარტონ პლატფორმის პროექტის დებულებანი, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში, განსახილველ პრობლემებზე პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების პოზიციის შემუშავებაში: მოაწყონ ფართო საზოგადოებრიობის, მეცნიერების მონაწილეობით სამეცნიერო სესიები, კომფერენციები, სემინარები, „მრგვალი მაგიდები", შეხვედრები პროექტის ძირითადი თავების საფუძვლიანი მეცნიერული გაანალიზების, ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ წინსვლის დაჩქარებისათვის გამოყენებით რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

მასობრივი ინფორმაციის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ აქტიურად ასახონ და მიზანმიმართულად ჩამოაყალიბონ საზოგადოებრივი აზრი პლატფორმის იდეების კონსტრუქციული განხილვის მიმართულებით; უზრუნველყონ მშრომელთა ფართო სპექტრის წინადადებების, შენიშვნებისა და დამატებების, სპეციალისტთა, მეცნიერთა, იდეოლოგიური აქტივის ანალიზური სტატიების გამოქვეყნება, ამასთან დაუკავშირონ ისინი საარჩევნო კომპანიის, მომუშავე, საქმიანი, კომპეტენტური, ნამდვილად სახალხო პარლამენტისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბების ამოცანებს. საჭიროა მომთხოვნელობით, კრიტიკული პოზიციებიდან შეკაფასოთ საყრილობო დისკუსიის, რესპუბლიკის პარტიულ ორგანოებში, შრომითს კოლექტივებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მისი მოწყობის მიმდინარეობა.

(საქინფორმი).

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

შეიძლება თუ არა საწარმოს პარტკომის წევრი არჩეულ იქნას საამქროს პარტბიუროს წევრად, თუ იგი აქ არ არის აღრიცხვაზე? მონაწილეობს თუ არა იგი კენჭისყრაში?

ამ საკითხის განხილვის უფლება აქვს საამქროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით. თუ ის გადაწყვეტს აირჩიოს კომუნისტი საამქროს წევრად, მაშინ ეს ამხანაგი ვერ მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, ვინაიდან აღრიცხვაზე არაა ამ ორგანიზაციაში.

შეიძლება თუ არა პროფკომიტეტის თავმჯდომარე არჩეულ იქნას პარტიული კრების პრეზიდიუმში?

თუ პროფკომიტეტის თავმჯდომარე სკკპ წევრია, შეიძლება არჩეულ იქნას პარტიული კრების პრეზიდიუმში.

ეურნალი „პარტიინაია ჟიზნ".

თვალსაზრისი

ეკოლოგია: სუფთა უვნებელი ქიმიზაცია

სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი ქიმიზაცია მოითხოვს მინერალური სასუქებისა და ქიმიურ საშუალებათა გამოყენების საკითხების ღრმა ცოდნას. ამასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში უნდა ჩამოყალიბდეს საყოველთაო სწავლების აგროქიმიური ჯგუფები, რომელთა ძირითად ამოცანას წარმოადგენს წარმოებიდან მოუწყვეტლივ (ზამთრის პერიოდში) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საფუძვლების სწავლება.

სოფლის მეურნეობაში ქიმიური საშუალებების გამოყენების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიფრთხილის ყოველნაირი ღონისძიებების სრულად დაცვას, მსოფლიოს მასშტაბით პესტიციდების გამოყენების უარყოფითი ეკოლოგიური ხასიათის შედეგების თავიდან აცილების ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა. ეს სისტემა საშუალებას იძლევა მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით ვარეგულიროთ ქიმიური საშუალებების გამოყენება, ნაკლებად ვისარგებლოთ მათი შესაძლებლობებით და უვნებელი გავხადოთ მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლა.

ამჟამად არსებული მეთოდებიდან ქიმიის გვერდით უნდა იდგეს მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდი. აქვე უნდა ითქვას, რომ, როცა ლაპარაკია ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებაზე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ არც ეს მეთოდებია მთლიანად უვნებელი, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გამოვიყენებთ მას. ყველა მეთოდის გამოყენების დროს უდიდესი სიფრთხილეა საჭირო.

მცენარეთა დაცვის ღონისძიებების განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როცა მოსალოდნელია მოსავლის დაკარგვის საშიშროება. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა თუ არა ბრძოლის ქიმიური ან სხვა მეთოდების გამოყენება, ამისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, პირველი—საჭირო დანახარჯთა მოცულობა, მეორე—ზარალის მაქსიმუმი, რომელიც შეიძლება მიაყენოს მეურნეობას მწერმა, მღრღნელმა, ხოკომ, სარეველა ბალახმა ანდა სხვა მავნე ორგანიზმმა, ანდა სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრძოლის ეს საშუალებები გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც ეს ეკონომიკურად გამართლებულია და მათი გამოყენება მოგვცემს შესაბამის ეკონომიკურ ეფექტს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მინერალური სასუქების, შხამ-ქიმიკატების და სხვა ქიმიური საშუალებების გამოყენების დროს ხშირად უხეშად ირღვევა ქიმიური საშუალებების გამოყენების წესები, ვადები და დოზები. მაგალითად, სასუქების გამოყენებისას საწარმოები უგულვებელყოფენ ისეთ ნორმატიულ დოკუმენტს, როგორიც არის აგროქიმიური კარტოგრამა.

შხამ-ქიმიკატები ღია ცის ქვეშაც ყრია. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მკვეთრად აქვეითებს მათ ხარისხს და, გარდა ამისა, რომ დანაკარგებს იწვევს, ასევე ძურებს გარემოს, არღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას. ეკოლოგიურად სუფთა, უვნებელი ქიმიზაციისათვის, მისი საშუალებების ინტეგრირებული გამოყენების საერთო სისტემაში თანდათანობით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თხევადი სასუქების გამოყენებას, ჰერბიციდებსა და პესტიციდებთან მათი ნაზავისა და ნარევის ხმარებას.

სოფლის მეურნეობის წინსვლა წარმოუდგენელია ქიმიის გარეშე, აკადემიკოს დ. ნ. პრიანიშნიკოვის განმარტებით, ქიმიის ამოცანას შეადგენს მიწათმოქმედებაში ნივთიერებათა ბრუნვის შესწავლა და ნიადაგსა და მცენარეში მიმდინარე ქიმიურ პროცესებზე იმ ღონისძიებათა გამოვლინება, რომლებსაც შეუძლიათ მოსავლის გადიდება ან მისი შედგენილობის შეცვლა. ამასთან ვეთანხმები იმ აზრს, რომ ქიმია შეძლებისდაგვარად უნდა შეიზღუდოს, მაგრამ მრლიანად მისი უკუგდება არაფრით არ შეიძლება, ამიტომ ქიმიისა კი არ უნდა გვეშინოდეს ეკოლოგიაზე ზრუნვისას, არამედ სწორედ მას უნდა ვიყენებდეთ გარემოს გაჯანსაღებისათვის. ეკოლოგია, უკავშირდება ბუნებაში არსებულ ქიმიურ, ბიოლოგიურ, ფიზიკურ თუ სხვა ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთაგანაც ერთი რომელიმეს გამოტოვება არღვევს საერთო კანონზომიერებას.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკას, რამეთუ წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია, მისი პოტენციალის განმტკიცების ძირითადი ფაქტორია. ახლა, როცა მთელი აქტუალობითა და მასშტაბურობით დგას რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტის საკითხი, სხვა მთავარ პრობლემასთან ერთად, ასევე გონივრულად უნდა ვწყვეტდეთ სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდისა და სტაბილიზაციის პრობლემას.

არჩილ სიგაშვილი,

აგროსამრეწველო გაერთიანების სიგნალიზაციისა და პროგნოზის დამკვირვებელი პუნქტის გამგე.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს შრომის ორგანიზაციის მართვის გარდაქმნა, იჯარულ ურთიერთობაზე გადასვლა, ძალზე მწვავედ დგას სპეციალისტების პრობლემა. იჯარული კოლექტივები იმის გამო, რომ ცდილობენ დაბალი დანახარჯებით უფრო მეტი პროდუქცია აწარმოონ, ხშირად უარს ამბობენ სპეციალისტების გამოყენებაზე და მეცნიერულ რეკომენდაციებზე იმ მოტივით, რომ თავს იკავებენ საფასურის გადახდაზე. ასეთი უარყოფითი ტენდენცია ჯერჯერობით შესამჩნევია ყველგან, იჯარის დროსაც და კოოპერატიულ მოძრაობაშიც, არადა რამდენი კარგის გაკეთება შეუძლია კარგ სპეციალისტს. მათ მიერ მიცემული რეკომენდაციისათვის გაწეული ხარჯი ორჯერ და მეტადაც ასარგებლებს გამჭრიახ და ჭკვიან გლეხს. იჯარული კოლექტივებისა და კოოპერატივების საქმიანობაში აგროქიმიკოსმა, მცენარეთა დამცველმა, ზოოტექნიკოსმა, ვეტექიმმა და სხვა სპეციალისტებმა, რომლებიც სათანადოდ იქნებიან შეიარაღებულნი თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებით, გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ. ეს პრობლემა განსაკუთრებით გამოიკვეთება ინტენსიური ტექნოლოგიის დანერგვის აუცილებლობის პირობებში.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მინერალური სასუქების და სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი ქიმიის სხვა პროდუქტების შესანახი საწყობებით უზრუნველყოფისა და გამოყენების დონე ჩვენს, ჩვენს საზოგადოებრივ მეურნეობებში ძალზე დაბალია. ხშირად სასუქები და



ქართული ელმავლების მარშრუტები გადაჭიმულია რესპუბლიკის დედაქალაქიდან ურალამდე და ციმბირამდე. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" მარკიანი ლოკომოტივები მუშაობს ქვეყნის 60-ზე მეტი ქალაქის დეპოებში.

სურათზე: მორიგი სერიული „ვლ-11" ელმავალი კურსს იღებს ურალის გზებისაკენ.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომში

ამოცანა: საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღება

რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი რაიონის სახალხო მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ გაწეული მუშაობის შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიონის საწარმოთა საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში დაისახა ზოგიერთი დადებითი ტენდენცია, გაუმჯობესდა საგადამხდელო დისციპლინა, რის გამოც გასული წლის მეორე ნახევარში შემცირდა დებიტორული დავალიანებები 61 პროცენტით. ამავე პერიოდში ბანკის სესხის გადაუხდელი დავალიანების მოცულობა 2506 ათასიდან 467 ათას მანეთამდე შემცირდა, შესრულდა რაიონის ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა, შემცირდა ზენორმატული ნაშთები.

ამასთან ხაზი გაესვა იმას, რომ რაიონის სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობა კვლავ რთული და არასტაბილურია, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მთელი რიგი წარმოებადაწესებულებების ხელმძღვანელები ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან და არ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის, არ გრძნობენ პერსონალურ პასუხისმგებლობას ფინანსური გაჯანსაღების პრობლემების გადაწყვეტისათვის, რის გამოც ჯერ კიდევ დიდია დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები. 1990 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენდა 419, 3 ათას მანეთს, ხოლო კრედიტორული—3611 ათას მანეთს, ამ მხრივ ცუდი მდგომარეობა აქვს რაიკოოპერატივს, ალპანის დარგობრივ გაერთიანებას, კოლმშენს, საკვებმოპოვების საწარმოს, ცაგერის კოლმეურნეობას.

სუსტი საანგარიშსწორებო და საგადასახადო დისციპლინის გამო საწარმოთა გარკვეული ნაწილი ბანკის კრედიტის სარგებლობისათვის გადიდებულ და ზეგეგმურ პროცენტს იხდის. ასეთმა არამწარმოებლურმა ხარჯებმა 1988-89 წლებში რაიონის სახალხო მეურნეობაში 133 ათასი მანეთი შეადგინა.

ამ მხრივ აღსანიშნავია სასურსათო კომბინატი, რომელსაც ამ პერიოდში სესხის ვადაგადაცილების გამო დაერიცხა გადასახდელად 25 ათასი მანეთი, რაიკოოპერატივს—39 ათასი მანეთი, უაღრესად მძიმე ფინანსური მდგომარეობაა შექმნილი ჯაბელის მეცხოველეობის საწარმოსა და წიფერჩის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში, რომლებმაც იმის გამო, რომ გასულ წელს ფაქტიურად არ ფუნქციონირებდნენ, ვერ შეძლეს ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების გასტუმრება (შესაბამისად 59 და 36 ათასი მანეთის), რის გამოც მათ აღარ შეუძლიათ მუშაობის გაგრძელება, საჭირო ფინანსური სახსრების უქონლობის გამო.

რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და შესაბამისი საფინანსო დარგის მუშაკები არ ახდენენ გაწეული ხარჯების შემოსავალთან შეჯერებას, რაც იწვევს მათი საკუთარი საბრუნავი საშუალებების დანაკლისის ზრდას. მიმდინარე წლის დასაწყისისათვის საკუთარ საბრუნავ საშუალებებში დანაკლისი აღენიშნებათ სახელმწიფო სატყეო მეურნეობას, ადგილმრეწველობის კომბინატს, სასურსათო კომბინატს, კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს, კომუნალურ საწარმოთა კომბინატს, რაიაფთიაქს, რაიკოოპერატივს (საკუთარ მეურნეობაში), ტვიშის, ალპანის, ლაილაშის, ღვირიშის, ლასურიაშის კოლმეურნეობებს, მეცხოველეობის და საკვებმოპოების საწარმოებს.

ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას ისიც უწყობს ხელს, რომ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატული ნაშთები. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის რაიონში ზენორმატული ნაშთების რაოდენობამ 1030 ათას მანეთს მიაღწია, მათ შორის სასურსათო კომბინატსა და სახელმწიფო სატყეო მეურნეობაში ის შეადგენს შესაბამისად 986 და 53, 3 ათას მანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს რაიონის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 100,9 პროცენტით შესრულდა, ამას, ვერ ვიტყვით საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, არქიტექტურის განყოფილების, ჯანმრთელობის დაცვის სამეურნეო სახურების სამმართველოს, ანაზღაურების შესახებ შესასრულებლად.

ნება დაერთო რაიონის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მიეტანათ სარეალიზაციოდ საკუთრებაში, სამსახურებრივი სარგებლობაში ავტომანქანები იმ პირებს, ვისაც ეს მანქანები ემსახურება.

საგეგმო კომისიამ, აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილებამ, რაიონის საწარმოებმა და უწყებებმა 1990 წლიდან არ დაუშვან ახალი ობიექტების (გარდა სოციალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა) მშენებლობის დაწყება და დაფინანსება, სანამ არ დამთავრდება გარდამავალი ობიექტების მშენებლობა.

კატეგორიულად აიკრძალა გეგმით გაუთვალისწინებელი ობიექტების მშენებლობა, მათი რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი, მოწყობილობებისა და ინვენტარის შეძენა, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ 1990-1991 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის პროფტექნიკური სასწავლებლები გადაყვანილი იქნებიან სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. დაევალა სახალხო განათლების განყოფილებას და ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექციას, განახორციელონ მოსამზადებელი სამუშაოები სასწავლებლის თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად.

ჯროფკავშირული ცხოვრება:

არ ჩანს ინიციატივა, საქმე

ცაგერის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის პროფკავშირის ორგანიზაცია (პროფკომიტეტის თავმჯდომარე მ. აბროლიანი) თავის რიგებში 63 წევრს აერთიანებს. ორგანიზაცია, მისი პროფკომიტეტი მუშაობას წარმართავენ პერსპექტიული და კვარტალური სამუშაო გეგმების მიხედვით.

პროფკავშირის წევრთა საერთო კრებებზე, პროფკომიტეტის სხდომებზე იხილავენ კომუნალური მომსახურების გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულების, შრომის, საშემსრულებლო და სახელმწიფო დისიპლინის, ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, დაცვადასუფთავების, მშრომელთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესების, ადმინისტრაციასა და პროფკომიტეტს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების შესრულებისა და სხვა საკითხებს.

პროფკომიტეტის მუშაობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ წინა წლებთან შედარებით გაუუმჯობესებია მუშაობა. კომბინატის ხელმძღვანელობასთან ერთად უზრუნვია სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლების, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწიეს. გასულ 1989 წელს კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა საერთო ფულადი შემოსავლების გეგმა. ნაცვლად გეგმური 148 ათასი მანეთისა მიიღეს 149 ათასი მანეთი. გეგმები შეასრულეს კომუნალური მომსახურების ცალკეულ სახეებში, ამ საქმეში თავისი წვლილი პროფკომიტეტმა, პროფკავშირის წევრებმა შეიტანეს.

მიმდინარე წლის იანვრის თვეში პროფკავშირის წევრთა საერთო კრებაზე შეაჯამეს გასული 1089 წლის გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულების შედეგები და მიიღეს 1990 წლის სოციალისტური ვალდებულებები, ამასთან დაამტკიცეს ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის 1990 წლის კოლექტიური ხელშეკრულება, ურთიერთ შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებენ ცალკეული დარგების მუშაკები.

ერთგვარ წარმატებებთან ერთად პროფკავშირის კომიტეტის მუშაობას გააჩნია ნაკლოვანებებიც. გასულ წელს ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აირჩიეს სხვადასხვა კომისიები, მაგრამ იმის გამო, რომ ამის შემდეგ მათ მუშაობა არავინ მოსთხოვა. გეგმებიც არ შეუდგენიათ და რაიმე მუშაობა არ უწარმოებიათ. გასულ წელს დაკმაყოფილდნენ ლაჯანურჰესში მოწყობილი ექსკურსიით.

პროფკომიტეტი და ადმინისტრაცია ვერ უმაღლებს პასუხისმგებლობას ცალკეულ მუშაკებს, ამის შედეგია, რომ ქალაქის ცენტრში თავისუფლად დაეხეტება პირუტყვი, ღორები, მაწანწალა ძაღლები. ცალკეულ მუშაკთა უპასუხისმგებლობას მიეწერება ის ფაქტი, რომ ჭიანურდება დაგროვილი ნაგავის გაზიდვა და ქუჩებში უსუფთაობაა. შეფერხებებია წარმოება-დაწესებულებების წყლითა და გათბობით უზრუნველყოფის საქმეში.

პროფკომიტეტი, მართალია, ასეთ საჭირბოროტო საკითხებს იხილავს, მაგრამ განხილვას შედეგი არ მოყვება, რადგან პროფკომიტეტი პრინციპულად ვერ სთხოვს მოვალეობის შესრულებას ცალკეულ მუშაკებს, რის გამოც ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დაცვის, ქუჩების კეთილმოწყობის, საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში.

საჭიროა კომუნალურ-საწარმოთა კომბინატის პირველადმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, მისმა კომიტეტმა მეტი ინიციატივა გამოიჩინოს, არსებითად გააუმჯობესოს და დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნას მუშაობა.

ვლ. დავითულიანი.

ბირთვული იარაღი და მისი დამაზიანებელი ფაქტორები

მასობრივი მოსპობის იარაღის სახეებს განეკუთვნება ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღი, მათ შორის ძირითადს წარმოადგენს ბირთვული იარაღი, რომელსაც შეუძლია მოკლე დროში მწყობრიდან გამოიყვანოს დიდი რაოდენობა ადამიანებისა, ცხოველებისა და დიდ ტერიტორიაზე დაანგრიოს თანამედროვე სახის ყველა შენობა-ნაგებობანი. მისი მასობრივად გამოყენების შემთხვევაში კაცობრიობას მოელის კატასტროფული შედეგები, ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირი გაწუხრელად იბრძვის მისი აკრძალვისათვის.

მოსახლეობამ უნდა იცოდეს მისი დამაზიანებელი ფაქტორები და თავდაცვის საშუალებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი არის უზარმაზარი დანაკარგები ცოცხალი ძალისა და მატერიალური რესურსებისა.

ყველასათვის ცნობილი არის იაპონიის ქალაქების ხიროსიმას და ნაგასაკის 1945 წლის აგვისტოს საშინელი ტრაგედია—ატომური დაბომბვით ათიათასობით დაღუპული, ასიათასობით დასახიჩრებული. მოსახლეობას, რომ სცოდნოდა ბირთვული იარაღის დამაზიანებელი ფაქტორები, წინასწარ გაფრთხილებული, რომ ყოფილიყვნენ თავდასხმის შესახებ უბედურ შემთხვევათა რიცხვი, გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

ბირთვული იარაღის დამაზიანებელი მოქმედება დამყარებული არის აფეთქებადი ტიპის ბირთვული რეაქციის გამოყოფაზე.

ბირთვული აფეთქების სიძლიერე მიღებული არის გამოხატოთ ტროტილური ექვივალენტით. ტროტილური ექვივალენტი იზომება ტონებში (ცილოტონებში, მეგატონებში).

ბირთვული იარაღის მიზნამდე მიტანის საშუალებები არის რაკეტები (ძირითადი საშუალებანი ბირთვული დარტყმისა), ავიაცია და არტილერია. გარდა ამისა შეიძლება გამოყენებული იქნას ბირთვული ფუგასები.

ბირთვული აფეთქება ხორციელდება ჰაერში სხვადასხვა სიმაღლეზე, მიწაზე-მიწისქვეშა, წყალზედა და წყალქვეშ. ადგილის, სადაც ხდება აფეთქება, ცენტრი უწოდება, ხოლო მის მიწისზედა პროექტს; ბირთვული აფეთქების ეპიცენტრი.

ბირთვული აფეთქების დამაზიანებელი ფაქტორები არის დარტყმითი ტალღა, სინათლის გამოსხივება, გამჭოლი რადიაცია, რადიაქტიული მოწამვლა და ელექტრომაგნიტური იმპულსი.

დარტყმითი ტალღა არის ბირთვული იარაღის ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორი, ვინაიდან მასზედ მოდის მთელი დაზიანება შენობების, ნაგებობების ნგრევა, ადამიანთა და ცხოველთა დიდი რაოდენობით მსხვერპლი.

იგი წარმოადგენს გავარვარებულ შეკუმშულ ჰაერის მასას, რომელიც ზებგერითი სიჩქარით ვრცელდება ყოველი მიმართულ-

დასასრული მე-4 გვერდზე.

პირთვული იარაღი და მისი დამაგიანებელი ფაქტორები

(დასასრული)

ებით აფეთქების ცენტრიდან. შეკუმშული მასის წინა საზღვარს ეწოდება დარტყმითი ტალღის ფრონტი.

დარტყმითი ტალღის დამაზიანებელი ხარისხი დამოკიდებული არის აფეთქების სიძლიერეზე და აფეთქების სახეზე, აგრეთვე აფეთქების ცენტრის სიშორეზე, რელიეფზე, ტერიტორიაზე განლაგებულ ნაგებობათა სიმაგრეზე.

დარტყმითი ტალღის დამაზიანებელი მოქმედება ხასიათდება წნევის სიდიდით. დარტყმითი წნევა ეს არის განსხვავება ნორმალური ატმოსფერული წნევისა და წარმოქმნილი ფრონტის წნევას შორის, რომელიც იზომება ნიუტონებში ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე, ამ წნევის ერთეულს ეწოდება პასკალი (პა) 1 კილოგრამი პასკალი უდრის 0,01 კილოგრამს ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე.

დაუცველმა ადამიანებმა 20-40 კილოპასკალის დარტყმის შედეგად შეიძლება მიიღონ უმნიშვნელო დაზიანებები: მოღრძობილობა, კონტუზია, 40-60 კილოპასკალის დარტყმისას ადამიანები კარგავენ გონებას, უზიანდებათ სმენადობა, ემართებათ კიდურების ძლიერი მოღრძობილობანი, სისხლდენა ცხვირიდან და ყურებიდან, ძლიერი ტრამვები, კონტუზია, მთელი ორგანიზმის კიდურების მოტეხილობა, შინაგანი ორგანოების დაზიანება და ხშირად სიკვდილის გამოწვევა ხდება 100 კილოპასკალის წნევის ზემოთ.

დარტყმითი ტალღის სიჩქარის სიდიდე დამოკიდებული არის აფეთქების სიძლიერეზე და ის სწრაფად კლებულობს, მაგალითად, 20 კილო ტონის სიძლიერის აფეთქებისას ტალღა 1 კილომეტრს გადის 2 წამში, 2 კილომეტრს—5 წამში, 3 კილომეტრს—8 წამში. ამ ხნის მანძილზე ადამიანს თავისუფლად შეუძლია დაიმალოს და გადარჩეს ტალღის ზემოქმედებას.

სინათლის გამოსხივება არის ენერგიის სხივების კონა, რომელშიაც შედის ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივები, მისი წყარო არის მანათობელი სფერო აფეთქების გავარვარებული პროდუქტების და ჰაერის ნარევი.

მანათობელი გამოსხივების სიძლიერე დამოკიდებულია აფეთქების სიდიდეზე და ძალას კარგავს ძალიან ჩქარა, დაახლოებით 20 წამის განმავლობაში. მიუხედავად ამისა მისი სიძლიერე მაინც დიდია და იწვევს ადამიანთა მხედველობის დაკარგვას, სხეულის სიდამწვრეს და სხვადასხვა სხეულების და ობიექტებისა აალებას.

დაზიანება განისაზღვრება ოთხი ხარისხის სიდამწვრით, პირველი ხარისხის სიდამწვრე ხასიათდება კანის სიწითლით, შემსივნებით და კანის აფუებით, მეორე ხარისხის—კანზე წარმოიშვება ბუშტულაკები, მესამე ხარისხის—კანის უჯრედების მოკვდინება და წყლულების წარმოშობა, მეოთხე ხარისხის—არამარტო კანის, არამედ ღრმად მდებარე ქსოვილების მოკვდინება და სხეულის ღია ნაწილების აფუება.

სინათლის გამოსხივება ვერ ატანს ისეთ სხეულებში, რომელთაც შეუძლიათ ჩრდილის წარმოქმნა, ამიტომ ასეთ სხეულებს შეუძლიათ ადამიანების გადარჩენა დამწვრობისაგან, აგრეთვე მისი მოქმედება ძალზედ შეზღუდული არის წვიმის, თოვლის და ღრუბლიან ამინდში.

გამჭოლი რადიაცია ეს არის კონა გამა სხივების და ნეიტრონების. ის გრძელდება 10-15 წამის განმავლობაში, გადის ცოცხალ ქსოვილში, გამა გამოსხივება და ნეიტრონები აიონიზებენ მოლეკულებს, რომლებიც შედიან უჯრედების შემადგენლობაში, იონიზაციის გავლენით ორგანიზმში წარმოიქმნება ბიოლოგიური პროცესები, რომლებიც არღვევენ ცალკეული ორგანოების სასიცოცხლო ფუნქციებს და იწვევენ ადამიანის სხივურ დაავადებას, სხვადასხვა მასალებში გავლისას მცირდება მისი სიძლიერე ორჯერ და მეტად. მაგალითად, ორჯერ მცირდება ინტენსივობა 3 სანტიმეტრი სისქის ფოლადში გავლისას, 10 სანტიმეტრი სისქის ბეტონში გავლისას, 15 სმ გრუნტში გავლისას და 30 სანტიმეტრი სისქის ხის მასალაში გავლისას. ამცირებს აგრეთვე რადიაციის მოქმედებას ღია და გადახურული ბლინდარები, ხოლო რადიაციის საწინააღმდეგო თავშესაფარები კი 100 პროცენტით იცავენ ადამიანს გამჭოლი რადიაციის მოქმედებისაგან.

რადიაქტიული მოწამვლა

რადიაქტიული მოწამვლის საფუძველს შეადგენს ბირთვული დენთის გაყოფის პროდუქტები და რადიაქტიული იზოტოპები, რომლებზეც მოქმედებს ნეიტრონები, რომლებიც გადამზადებული არიან ბირთ[illegible]ლი საბრძოლო მასალებისაგან [illegible]ა გრუნტის შემადგენლობა, მოცემული აფეთქების რაიონში.

მიწისზედა აფეთქებისას გავარვარებული მანათობელი მასა ეხება რა დედამიწის ზედაპირს, თავის სფეროში შეიწოვს გრუნტის დიდ გავარვარებულ მასას, რომელიც მიემართება ზევით სვეტის მაგვარად. რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე თავზე იკეთებს რა უზარმაზარ სოკოს-მაგვარ ფორმას, მისი შემადგენელი ორთქლი და პროდუქტები იწყებენ გაცივებას და ეარისება მართულებით — [illegible] დიდი სისწრაფით საათში 25-100 კილომეტრის სიჩქარით, რადიაქტიური მტვერი შესაბამისი ღრუბლიდან ეფინება დედამიწას რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე და იწამლება გარემო, შენობა ნაგებობანი, ნათესები, წყალმომარაგება და სხვა ობიექტები.

რადიაქტიური ნივთიერებანი განსაკუთრებით საშიში არის დედამიწაზე ჩამოსვლის პირველ საათებში, ვინაიდან მათი მოქმედების აქტიურობა მხოლოდ ამ მომენტში არის ძლიერი მოქმედების.

ელექტრომაგნიტური იმპულსი

ელექტრომაგნიტური იმპულსი არის ელექტრომაგნიტური ველის წარმოშობა ბირთვული აფეთქების პროცესში. ის არის ძალიან ხანმოკლე და აზიანებს მხოლოდ ელექტრო რადიოაპარატურას, რომლებიც წყობილებიდან გამოდიან დროებით. დაზიანება ხდება გამასხივების და ნეიტრონების მოქმედებით რადიო ელექტრონული და ელექტროტექნიკური აპარატებისა. ადამიანების დაზიანება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აფეთქების პროცესში შევეხებით აპარატურის სახაზო გაყვანილობას.

ბირთვული იარაღის ყველა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან ეფექტური დაცვის საშუალებად მიჩნეული არის თავშესაფარები, სასუნთქი ორგანოების დაცვისათვის კი სრულიად საკმარისია საჯარისო და სხვადასხვა სახის მფილტრავი და მაიზოლირებელი აირწინაღები, რესპირატორები, მარლისა და ბამბის ნახვევები და სხვა.

გ. ჩიქოვანი,
ცაგერის რაიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი.

დაისვენეთ წყალტუბოზე!

წყალტუბოს მინერალური წყლები თავისი შემადგენლობისა და სამკურნალო თვისებების მიხედვით უნიკალურია მთელ მსოფლიოში. ჩვენი სანატორიუმი „მეტალურგი“ ერთ-ერთი კეთილმოწყობილი სამკურნალო დაწესებულებაა ქალაქ-კურორტში. იგი მწყობრში ჩადგა 1957 წელს და შესულია მსოფლიო არქიტექტურის ფონდში. ვინ მოთვლის რამდენმა კაცმა აღიდგინა აქ ჯანის სიმრთელე და განახლებული ენერგიით დაუბრუნდა შრომით საქმიანობას. ჯანმრთელობის კერა ატარებს მაღალი კულტურის დაწესებულების წოდებას და გაშლილია 300 საწოლზე. ვმკურნალობთ შემდეგ დაავადებებს: რევმატიზმს, იშიასს, ართრიტებს, ოსტეოქონდროზს, ფლექსიდს, ნევრიტს, პოლიართრიტს, მიოზიტს, ბურსიტს, ტენდოვაგინტს, კონტრაქტურებს, ოსტიდს, ქრონიკულ ოსტეომიელიტს, სპონდილიტს, სპონდილიართროზს, ბეხტერევის დაავადებას, ნერვიულ, გულსისხლძარღვთა სისტემის და გინეკოლოგიურ დაავადებებს.

ავადმყოფ-დამსვენებელთა განკარგულებაშია ნათელი საძინებელი პალატები, კეთილმოწყობილი სასადილო, კლუბი, ბიბლიოთეკა, მარადმწვანე მცენარეულობით შემკული პარკი. 1989 წელს სანატორიუმში იმკურნალა და დაისვენა მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა 5000-მდე კაცმა.

მკურნალობის კომპლექსში მინერალური წყლების გარდა ვიყენებთ მშრალ მასაჟს, სამკურნალო ფიზკულტურას, ფიზკულტურას წყალში, წყალქვეშა მასაჟს, წყალქვეშა დაჭიმვას, დუშშარკოს, აღმავალ დუშს, ელექტროფორეზს, უჩ-ს, ულტრაბგერას, ოთხკამერიან აბაზანას და სხვა.

მკურნალობისათვის საჭიროა სანატორიუმში წარმოადგინოთ საკურორტო-სანატორიული რუქა, რომელიც შევსებული უნდა იყოს რაიონის პოლიკლინიკის ან ამბულატორიის ექიმის მიერ და ხელზე იქონიონ პასპორტი.

კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „მეტალურგის“ ადმინისტრაციას აქვს საშუალება გადარიცხვით ან ნაღდ ანგარიშზე (ჩვენი ანგარიშია: 60905) წინასწარი შეკვეთით რესპუბლიკის მცხოვრებლებს გამოუყოს საგზურები. საგზურის ფასია 140 მანეთი. მკურნალობის კურსი განისაზღვრება 20 დღით. საგზურის ღირებულებაში შედის ბინა, კვება და მკურნალობა.

ჩვენი მისამართია:
ქ. წყალტუბო
კიროვის ქუჩა №7
სანატორიუმი „მეტალურგი“
ტელეფონები: 2-27-91, 2-29-29

სანატორიუმის დირექცია.

ჯილოცავთ

რუბენ სერგოს ძე ურთმელიძეს

გილოცავთ 60 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ, ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ლაცორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

მაყვალა ჯემალის ასულ კოკალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაზაფხულივით ლამაზი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება მარად.
ბედნიერება, სიყვარული, სიხარული დაგბედებოდეთ!

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის VIII კლასელები.

ჩხუტელის საბავშვო ბაღისა და საფერშლო პუნქტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა მეშველიანს დედის

გალინე ეფაძის

გარდაცვალების გამო.

გივი, ჟორესი, დალოსტი, ელგუჯა, მარგო, ლუიზა სვანიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი ნიკოლოზის ასული მორჩაძე-ფრუიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩხუტელის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ ნათია მეშველიანს ბებიის

გალინე ეფაძის

გარდაცვალების გამო.

საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუსიკო დავითულიანს დედის

ლოლა დავითულიანის

გარდაცვალების გამო

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

მეზობლები ამირან ახვლედიანი, ანდრო ბურჯალიანი, მერაბ ჭილეარია, საშა ბერიძე, ბორის მამარდაშვილი, ნუგზარ ჭაბუკიანი, გოგი მუშკუდიანი, ოლეგ გიორგობიანი, ნანი ხაბულიანი, მევლუდ სილაგაძე, ქეშარდი ყურაშვილი, ვენდი ცხვედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მელანო ჯამბურიძეს რძლის

ეუეუნა ჯამბურიძის

გარდაცვალების გამო.

არჩილ, გრიშა ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ლაშუპიანი.

რაიცენტრის აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მელანო ჯამბურიძეს რძლის

ეუეუნა ჯამბურიძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი. ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.